საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ი თ ი ს ა ბ ჭ ო

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №01

ქ. ბათუმი 05 მარტი, 2018წ

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის აფილირების, აკადემიური დატვირთვის განსაზღვრისა და შრომის ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 12 სექტემბრის N03 გადაწყვეტილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, ბსუ–ს წესდების მე–10 მუხლის, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 1 მარტის N33 დადგენილებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

გადაწყვიტა:

1. შევიდეს ცვლილებები და დამატებები „ბსუ–ს აკადემიური პერსონალის აფილირების, აკადემიური დატვირთვის განსაზღვრისა და შრომის ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 12 სექტემბრის N03 გადაწყვეტილებაში, კერძოდ, **გადაწყვეტილების დანართის მე-16 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

,,16. აკადემიური თანამდებობის პირის აკადემიური დატვირთვის კატეგორია განისაზღვრება დასაქმებულთან დადებული აფილირების შეთანხმების შესაბამისად, რომელიც ფორმდება შრომითი ურთიერთობის დაწყებისთანავე. ბსუ-ს შინაგანაწესის მოთხოვნათა გათვალისწინებით დასაშვებია აკადემიური დატვირთვის კატეგორიის შეცვლა შემდეგ შემთხვევებში და ვადებში:

ა) „ა“-დან „ბ“ კატეგორიის დატვირთვაზე გადასვლა ან პირიქით - თუკი შეცვლა განპირობებულია ბსუ-ში ერთზე მეტ საშტატო ერთეულზე შრომითი ურთიერთობის წარმოშობით ან პირიქით, შეწყვეტით. ასეთ შემთხვევაში, უნივერსიტეტის ინტერესებიდან და სასწავლო პროცესის უწყვეტობის პრინციპის გათვალისწინებით, დასაქმებულთან გაფორმებული ახალი აფილირების შეთანხმების საფუძველზე აფილირებისა და აკადემიური დატვირთვის განსაზღვრის შესახებ რექტორის ბრძანებებში **ცვლილებები შესაძლებელია განხორციელდეს მიმდინარე სემესტრში,** თუკი ზიანი არ ადგება სასწავლო პროცესს და სხვა დასაქმებულის უფლებებს და არ ირღვევა წინამდებარე წესის მოთხოვნები;

ბ) „გ“-დან „ბ“ კატეგორიის დატვირთვაზე გადასვლა ან პირიქით - თუკი შეცვლა განპირობებულია ბსუ-ში ერთზე მეტ საშტატო ერთეულზე შრომითი ურთიერთობის წარმოშობით ან შეწყვეტით. ასეთ შემთხვევაში, უნივერსიტეტის ინტერესებიდან და სასწავლო პროცესის უწყვეტობის პრინციპის გათვალისწინებით, დასაქმებულთან გაფორმებული ახალი აფილირების შეთანხმების საფუძველზე აფილირებისა და აკადემიური დატვირთვის განსაზღვრის შესახებ რექტორის ბრძანებებში **ცვლილებები შესაძლებელია განხორციელდეს მიმდინარე სემესტრში,** თუკი ზიანი არ ადგება სასწავლო პროცესს და სხვა დასაქმებულის უფლებებს და არ ირღვევა წინამდებარე წესის მოთხოვნები;

გ) „ა“-დან „გ“ კატეგორიის დატვირთვაზე გადასვლა ან პირიქით - ცვლილების შემთხვევაში, დასაქმებულთან გაფორმებული ახალი აფილირების შეთანხმების საფუძველზე. აფილირების განცხადება დასაქმებულის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს სემესტრის დაწყებამდე არაუგვიანეს 10 დღის ვადაში. თუკი ცვლილება დასაქმებულის შრომით-სამართლებრივ ურთიერთობაში განხორციელდა სემესტრის დაწყებიდან ერთი თვის შემდეგ, ამ პირის აფილირებისა და აკადემიური დატვირთვის განსაზღვრის შესახებ რექტორის ბრძანებებში **ცვლილებები განხორციელდება მომდევნო სემესტრიდან** (<u>**გამონაკლისი**</u> შესაძლებელია განხორციელდეს ბსუ-ს რექტორის ბრძანებით, სასწავლო პროცესის ინტერესებიდან გამომდინარე).“

2. წინამდებარე ცვლილებები გავრცელდეს 2017-2018 სასწავლო წლის **გაზაფხულის სემესტრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.**
3. გადაწყვეტილება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს და განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
4. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი,
პროფესორი **დ.ბარათაშვილი**